

დამტკიცებულია:
ა(ა)იპ ირაკლი ფარჯიანის ფონდის
დამფუძნებელთა კრების მიერ

ირაკლი ფარჯიანის ფონდთან არსებული
ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა კვლევითი
ცენტრის დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1 ირაკლი ფარჯიანის ფონდთან (შემდეგში „ფონდი“) არსებული ხელოვნების – ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა – კვლევითი ცენტრი (შემდეგში „ცენტრი“) არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციულ ერთეულს და იგი შექმნილია როგორც ა(ა)იპ „ირაკლი ფარჯიანის ფონდის“ (შემდეგში „ფონდი“) სტრუქტურული ერთეული.

1.2 „ცენტრის“ შექმნის მიზანია საქართველოსა და რეგიონში (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია) ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა საექსპერტო კვლევითი დაწესებულების დაფუძნება და შესაბამისი კვლევითი პროცესების ორგანიზება.

1.3 „ცენტრის“ საქმიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „ფონდს“ და ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში „ცენტრი“ მონაწილეობს „ფონდის“ მეშვეობით.

1.4 „ცენტრის“ საქმიანობის (საექსპერტო კვლევითი პროცესების) უზრუნველყოფის მიზნით „ფონდი“ იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის პირებს, როგორც საქართველოს რეზიდენტ, ისე არარეზიდენტ პირთა წრიდან.

1.5 „ცენტრის“ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგება იდება „ფონდის“ მიერ და ამ გარიგებათა შესრულებაზე, ასევე სანაცვალგებო შესრულების მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტს წარმოადგენს „ფონდი“.

1.6 „ცენტრის“ ადგილსამყოფელი და ყველა ოფიციალური საკომუნიკაციო მონაცემი ემთხვევა „ფონდის“ სარეგისტრაციო მონაცემებს, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს „ცენტრის“ სახელით დამოუკიდებელი მარკეტინგული აქტივობის შესაძლებლობას.

1.7 „ცენტრის“ ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას ახორციელებს „ფონდის“ თავმჯდომარე.

1.8 „ცენტრს“ არ გააჩნია დამოუკიდებელი ანგარიშსწორების ანგარიში და მისი ფინანსური საქმიანობა ხორციელდება „ფონდის“ მეშვეობით.

1.9 საქართველოს სამართლებრივ სივრცეში სპეციალური ნორმატიული ბაზის შექმნამდე, ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა საექსპერტო გამოკვლევის პროცესში „ცენტრი“ იხელმძღვანელებს შესაბამის სფეროში მოქმედი წესებით, სტანდარტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით.

2. ტერმინთა განმარტება:

2.1 წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1 ანალოგი – ერთი ან/და რამდენიმე ფერწერული/გრაფიკული ნაწარმოები, რომლებიც განკუთვნილია საკვლევ ობიექტთან შესადარებლად ერთი ან/და რამდენიმე არსებითი ნიშნის გამოსავლენად, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ კვლევის პროცესში არსებითი დასკვნების გამოსატანად და საბოლოო საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად.

- 2.1.2 ატრიბუცია – კონკრეტული ფერწერული/გრაფიკული ნაწარმოების ავტორის (სკოლა, მიმდინარეობა), ამ ნაწარმოებთა შექმნის დროისა და ადგილის, მათი ფუნქციური დანიშნულების კვლევის პროცესი და ამ პროცესის შედეგები.
- 2.1.3 განმეორებითი (მეორადი) ნაწარმოები – არსებული ფერწერული/გრაფიკული ნაწარმოების (ორიგინალის) ან მისი ნაწილის იმიტაცია, ასლი ან კანონიკური გამოსახულება.
- 2.1.4 ფერწერა - ვიზუალური (გამომსახველობითი) ხელოვნების სახეობა, სადაც ნაწარმოები უპირატესად შექმნილია მკვრივი პლასტიკური საღებავი საშუალებებით (ზეთის საღებავი, აკრილი და ა.შ), ამა თუ იმ სახეობის ბრტყელ ზედაპირზე (საფუძველზე) კონკრეტული საღებავი მასალის დატანის გზით.
- 2.1.5 გრაფიკა – ვიზუალური (გამომსახველობითი) ხელოვნების სახეობა. ამ ჟანრის ნაწარმოები შექმნილია საღებავი ნივთიერებების ბრტყელ ზედაპირზე დატანის გზით, რომელიც სახვითი ხელოვნების სხვა ნაწარმოებისგან განსხვავდება შესრულების ტექნიკით. კერძოდ იგი შესრულებულია წყალში ხსნადი საღებავი საშუალებების (აკვარელი, გუაში, აკრილი და ა.შ) გამოყენებით ან მშრალი ტექნიკით (ფანქარი, ნახშირი, პასტელი და ა.შ)
- 2.1.6 სახელოვნებო კვლევა – ფერწერული/გრაფიკული ნაწარმოების კომპლექსური გამოკვლევის ნაწილი, რომელიც ეფუძნება ხელოვნებათმცოდნეობის მეთოდებს საკვლევი ობიექტის ანალოგთან ან ეტალონთან შესატყვისობის დადგენის მიზნით.
- 2.1.7 არსებობის ისტორია – სისტემატიზირებული ფაქტების, მოვლენების, ხდომილებების ან/და იმ პროცესების ერთობლიობა, რომლებიც ადასტურებენ საკვლევი ფერწერული/გრაფიკული ნაწარმოების წარმოშობას ან/და არსებობას კონკრეტულ დროსა და სივრცეში.
- 2.1.8 წყაროს კვლევა – ფერწერული/გრაფიკული ნაწარმოების კომპლექსური გამოკვლევის ნაწილი, რომელშიც გამოიყენება კვლევის სამეცნიერო მეთოდები და პროცედურები, რომელთა მიზანია საკვლევი ობიექტის (ფერწერული/გრაფიკული ნაწარმოების) ისტორიაზე საიმედო მონაცემების შეგროვება.
- 2.1.9 კანონიკური გამოსახულება: ფერწერული/გრაფიკული ნაწარმოები, რომლის მიზანია კონკრეტული სამხატვრო სკოლის ნიმუშის ან/და ნიმუშების რეპროდუცირება, რომლებიც გამოირჩევიან შესრულების ტექნიკით.
- 2.1.10 გრაფიკული ნაწარმოების კომპლექსური გამოკვლევა – სპეციალური გამოკვლევების ერთობლიობა (სახელოვნებო, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ისტორიული და ა.შ), რაც მიმართულია გრაფიკული ნაწარმოების (საკვლევი ობიექტის) თაობაზე ფაქტების მაქსიმალური მოძიებისა და შესწავლისაკენ, და აუცილებელია დასაბუთებული საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად.
- 2.1.11 ფერწერული ნაწარმოების კომპლექსური გამოკვლევა - სპეციალური გამოკვლევების ერთობლიობა (სახელოვნებო, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ისტორიული და ა.შ), რაც მიმართულია ფერწერული ნაწარმოების (საკვლევი ობიექტის)

თაობაზე ფაქტების მაქსიმალური მოძიებისა და შესწავლისაკენ, და აუცილებელია დასაბუთებული საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად.

- 2.1.12 ფერწერული ან გრაფიკული ნაწარმოების ასლი – უკვე არსებული ფერწერული ან გრაფიკული ნაწარმოების მეორადი ნამუშევარი, რომლის მიზანია მაქსიმალური სიზუსტით გაიმეოროს ორიგინალი ან მისი რომელიმე ნაწილი (ფრაგმენტი).
შენიშვნა : რელიგიურ-კანონიკურ ფერწერაში გამოიყენება „ასლის“ ცნება, თუ ორიგინალური ფერწერული ნაწარმოების ავტორისეული ასლი იგულისხმება.
- 2.1.13 ფერწერული ან გრაფიკული ნაწარმოების ორიგინალი – ნაწარმოები რომელიც შექმნილია უშუალოდ ავტორის მიერ მისი დამოუკიდებელი (თვითმყოფადი) შემოქმედებითი ამოცანების გადასაწყვეტად, რომელშიც გამომსახველობითი ელემენტები, კომპოზიცია და სიუჟეტი ავტორისეულ ჩანაფიქრს ექვემდებარება.
- 2.1.14 ნამდვილობა – ღირებულებითი კატეგორია, რომელიც მიუთითებს საკვლევი ობიექტის იდენტურობას და მის ატრიბუციას, რომელიც არსებობდა, ან რომლის არსებობა ივარაუდებოდა საკვლევი ობიექტის ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე ან/და გამომქვანდა (დადასტურდა) ექსპერტიზის ჩატარების შედეგად.
- 2.1.15 იმიტაცია – ფერწერული ან გრაფიკული ნაწარმოების მეორადი წარმოება, რომლის მიზანია კონკრეტული ავტორის ან ცალკეული მხატვრული მიმდინარეობის იმიტირება (გამეორება) , რომელთა შესაქმნელად გამოიყენება ფერწერული ელემენტები, მხატვრული და ტექნოლოგიური ხერხები, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული ავტორისთვის ან მხატვრული მიმდინარეობისათვის (სკოლისათვის).
- 2.1.16 ტექნიკურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა – ფერწერული ან გრაფიკული ნაწარმოების კომპლექსური კვლევის ნაწილი, რომელშიც გამოიყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერული და ტექნიკური მეთოდები საექსპერტო კვლევის ობიექტში შემაჯავალ მასალაზე ობიექტური მონაცემების მოპოვების მიზნით და ამავე მასალების შექმნის ტექნოლოგიაზე.
- 2.1.17 ფერწერულ ან/და გრაფიკულ ნაწარმოებთა ექსპერტი – ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს შესაბამის ცოდნას და გააჩნია სათანადო კომპეტენცია ფერწერული ან/და გრაფიკული ნაწარმოების ატრიბუციის დასადგენად, რომლის დასკვნები აისახება ექსპერტიზის დასკვნაში.
- 2.1.18 საექსპერტო დასკვნა – წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც აისახება ექსპერტის მოსაზრებები და დასკვნები, რომლებიც წარმოიშვა საექსპერტო კვლევის პროცესში.
- 2.1.19 ეტალონი – ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც შერჩეულია ექსპერტის მიერ საკვლევი ობიექტთან მსგავსების ან განსხვავების დასადგენად.
- 2.1.20 კვლევის დესტრუქციული მეთოდი – ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა გამოკვლევის პროცესში დამკვეთთან წინასწარ შეთანხმებული პროცედურა, რაც გულისხმობს ნაწარმოების საფუძვლიდან (ქსოვილი, ხე, ქაღალდი, ლითონი და ა.შ.), საფუძველზე დატანილი ფენიდან (საღებავი, აკრილი, ფანქარი,

ნახშირი და ა.შ), ჩარჩოდან ან/და სხვა მსგავსი შემადგენელი ელემენტებიდან ნიმუშის აღებას, იგულისხმება ანაფხეკის/ანათალის აღება მისი ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით.

3. ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა ექსპერტიზის პრინციპები

- 3.1 ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა ექსპერტიზის პრინციპებია:
- ექსპერტთა დამოუკიდებლობა
 - საკმარისობა
 - ყოველმხრივობა
 - სარწმუნოება
- 3.2 ექსპერტთა დამოუკიდებლობის პრინციპი
საექსპერტო გამოკვლევის პროცესში ექსპერტი უნდა იყოს დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს ექსპერტის მიერ საკუთარი კომპეტენციისა და ცოდნის ფარგლებში შესრულებული გამოკვლევის შედეგად მოსაზრებებისა და დასკვნების მომზადებას. ექსპერტი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი ხასიათის ზემოქმედებისაგან. ექსპერტი ვერ მიიღებს საექსპერტო კვლევაში მონაწილეობას თუ იგი:
- არის დამკვეთის ოჯახის წევრი ან მისი ნათესავი
 - არის ან იყო დამკვეთის პარტნიორი, აქციონერი, მეპაიე, მოწილე ან/და თანამშრომელი თუ დამკვეთი იურიდიული პირია
 - დამკვეთან არის, ან იყო, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში
 - თუ დამკვეთთან აქვს ქონებრივი ან სხვა მსგავსი საერთო ინტერესები
- პირი ვერ იქნება ექსპერტი თუ არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც პირდაპირ ან/და ირიბად მიუთითებენ მის პირად დაინტერესებაზე ექსპერტიზის შედეგების მიმართ.
შენიშვნა : ამ პუნქტის მიზნებისათვის ოჯახის წევრთა და ნათესავების წრე განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული კანონისმიერი მემკვიდრეების წრის (ხუთივე რიგის) ჩამონათვალით.
- 3.3 საკმარისობის პრინციპი
ექსპერტი განსაზღვრავს გამოკვლევის სახეობებსა და მოცულობას, რაც საჭიროა (საკმარისია) დასაბუთებული საექსპერტო დასკვნის მოსაზრებლად, ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით, საკუთარი კომპეტენციით, პრაქტიკული გამოცდილებითა და გონივრული მოსაზრებებით.
- 3.4 ექსპერტიზის ყოველმხრივობა
ექსპერტი განიხილავს საკვლევი ობიექტის სხვადასხვა თავისებურებებს და გამოკვლევის პროცესში ითვალისწინებს მის ესთეტიკურ, ტექნიკურ – ტექნოლოგიურ, წარმოშობისა და არსებობის ისტორიის მახასიათებელ ფაქტორებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ექსპერტიზისათვის.

3.5 ექსპერტიზის სარწმუნოობის პრინციპი
საექსპერტო დასკვნა შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნოდ თუ იგი ეფუძნება კვლევის იმ სტანდარტებს, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო ნორმებით, წესებითა და პრინციპებით.

4. ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების საექსპერტო კვლევის თაობაზე ხელშეკრულების ზოგადი პირობები

4.1 ფერწერულ ან გრაფიკულ ნაწარმოებთა ექსპერტიზის მომსახურება ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის საგანია შესაბამის ფერწერულ ან/და გრაფიკულ ნაწარმოებზე (შემდეგში „საკვლევი ობიექტი“ ან „ექსპერტიზის ობიექტი“) გამოკვლევის ჩატარება წინამდებარე დებულების წესების შესაბამისად.

4.2 დამკვეთი შეიძლება იყოს ფერწერული ან გრაფიკული ნაწარმოების მფლობელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, სამთავრობო ორგანო, ადგილობრივი მმართველობის ორგანო.

4.3 4.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ხელშეკრულებაში შემსრულებელი არის „ფონდი“, რომელიც თავის მხრივ დაკვეთის არსის, მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით შეარჩევს შესაბამის ექსპერტს ან/და ექსპერტებს, კოორდინაციას და ორგანიზებას უწევს მათ საქმიანობას და უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულებას.

4.4 ფერწერული ან/და გრაფიკული ნაწარმოების საექსპერტო გამოკვლევა (შემოწმება) მოიცავს „საკვლევი ობიექტის“ შესწავლას, გამოკვლევას, საექსპერტო დასკვნის გაცემას, აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა მომსახურებას, კერძოდ საკვლევი ობიექტის შენახვასა და ტრანსპორტირებას თუ ასეთი აუცილებელია.

4.5 ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავენ მხარეები.

4.6 მომსახურების გაწევა შესაძლებელია როგორც საკვლევი ობიექტის განთავსების, ასევე შემსრულებლის მიერ შერჩეულ ადგილზე, რაც ხელშეკრულების დადების დროისათვის წინასწარ თანხმდება მხარეებს შორის.

იმ შემთხვევაში როდესაც საექსპერტო გამოკვლევა ხორციელდება „ექსპერტიზის ობიექტის“ განთავსების ადგილზე, დამკვეთი უზრუნველყოფს ექსპერტის (რომელსაც დაევალია კვლევის ჩატარება), ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამხმარე ტექნიკური პერსონალის კვლევის ჩატარების ადგილზე დაშვებას და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნას.

4.7 შემსრულებლის გადაწყვეტილებით ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების კვლევის პროცესს, პროცესის მიმდინარეობის ფიქსაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელია დაესწროს აღმასრულებელი, ნოტარიუსი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი პირი.

4.8 ექსპერტს უნდა ჰქონდეს წვდომა ყველა იმ დამატებით მასალაზე, რომლებიც მისი ან/და დამკვეთის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ექსპერტიზის ჩასატარებლად - ასეთის არსებობის შემთხვევაში. მხარეთა შეთანხმებით, ასეთი

დოკუმენტები შეიძლება გადაეცეს ექსპერტს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. „საკვლევი ობიექტის“ ადგილზე ექსპერტიზის ჩატარებისას, ექსპერტი პასუხისმგებელია სამუშაოების უსაფრთხოებაზე კვლევის დროს და იყენებს მხოლოდ იმ მეთოდებს, რომელთა გამოყენება უსაფრთხოა ამ პირობებში.

4.9 თუ ექსპერტიზის ჩატარება განსაზღვრულია შემსრულებლის მიერ მითითებულ ადგილას და საკვლევი ობიექტი უნდა გადაადგილდეს, დამკვეთი მიაწვდის, ხოლო შემსრულებელი მიიღებს საკვლევ ობიექტს და თუ შესაძლებელია- დოკუმენტებს, რომლებიც, ექსპერტის ან/და დამკვეთის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია საექსპერტო კვლევისათვის. საკვლევი ობიექტისა და დოკუმენტაციის შემსრულებელზე ჩაბარების მომენტიდან იგი პასუხისმგებელია მათ უსაფრთხოებაზე.

4.10 საკვლევი ობიექტისა და დოკუმენტაციის გადაცემისა და მიღების ფაქტი დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით. აქტში მითითებულია ობიექტის დასახელება და ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ნამუშევრის, როგორც ექსპერტიზის ობიექტის იდენტიფიცირება, აგრეთვე ექსპერტიზის ობიექტთან ერთად გადაცემული დოკუმენტების ჩამონათვალი.

4.11 ფერწერული ან/და გრაფიკული ნაწარმოების, როგორც „ექსპერტიზის ობიექტის“ საიდენტიფიკაციო აღწერილობა უნდა შეიცავდეს:

- ნაწარმოების დასახელებასა და ავტორის სახელს, რომელიც დამკვეთისათვის ცნობილია ხელშეკრულების დადების დროისათვის, ან მითითებას, რომ ნაწარმოების დასახელება ან/და ავტორის სახელი არ არის ცნობილი;

- ნაწარმოების ზომა, რომელიც განისაზღვრება შეკვეთის შესაბამისად (დანართი);

- ნაწარმოების შექმნის ტექნიკა და გამოყენებული მასალები, რომლებიც დამკვეთისთვის ცნობილია ხელშეკრულების დადების დროს;

- ნაწარმოების მდგომარეობა - მხარეთა შეთანხმებით;

- ნაწარმოების ფოტოსურათი - მხარეთა შეთანხმებით;

4.12 ექსპერტი, რომელიც ხელშეკრულების თანახმად არის შემსრულებელი, ან რომელსაც ევალება გამოკვლევა, ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა და გაუფრთხილდეს კვლევის ობიექტს ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

4.13 ხელშეკრულების დადებისას დამკვეთი აცხადებს თანხმობას მასზე რომ ექსპერტმა გამოიყენოს ყველა, მათ შორის დესტრუქციული მეთოდები და ამ სტანდარტში აღწერილი კვლევის საშუალებები.

4.14 ხელშეკრულების დადებისას, შემსრულებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს დამკვეთს აქვს თუ არა მოწვეულ ექსპერტს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება.

4.15 ექსპერტიზის დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია გადასცეს, ხოლო დამკვეთმა უნდა მიიღოს ექსპერტის დასკვნა, რომელიც შედგენილია ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად, ამასთან თუ ექსპერტიზა ტარდება შემსრულებლის მიერ შერჩეულ ადგილზე, დასკვნასთან ერთად დამკვეთს გადაეცემა კვლევის ობიექტი თანდართული დოკუმენტებით.

4.16 საექსპერტო დასკვნის გადაცემისა და მიღების ვადებსა და წესს, საკვლევ ობიექტს და თანდართულ დოკუმენტებს განსაზღვრავენ მხარეები. დასკვნისა და საკვლევ ობიექტის გადაცემისა და მიღების ფაქტი დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელშიც მიეთითება დასკვნის გვერდების რაოდენობა, კვლევის ობიექტის დასახელება და მისი აღწერა, რომელიც იძლევა ფერწერული ან/და გრაფიკული ნამუშევრების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

4.17 ხელშეკრულების დადების დროს, ან ექსპერტიზის დასრულებისას, დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია ანაზღაურებად საფუძველზე გადასცეს ამ ექსპერტიზის ფარგლებში ჩატარებული ნებისმიერი დამატებითი კვლევის შედეგები, რომლებიც არ არის სავალდებულო დანართი ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად. თუ დამკვეთმა ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების დადების დროს განაცხადა, იგი ხელშეკრულებაში შედის, როგორც მისი ერთ-ერთი პირობა. თუ ეს მოთხოვნა გამოცხადდება ექსპერტიზის ბოლოს, მხარეები აფორმებენ დამატებით შეთანხმებას. ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურების ღირებულება, გადახდის პირობები და პროცედურა, კვლევის შედეგების გადაცემის ვადები და პროცედურა განისაზღვრება მხარეების მიერ.

4.8 კვლევის შედეგების გადაცემის ფაქტი დასტურდება მხარეების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5. ექსპერტიზის ობიექტის შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესები

5.1 საექსპერტო კვლევის ობიექტის შეფუთვა

5.1.1 საკვლევ ობიექტების შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს ფერწერული ან/და გრაფიკული ნაწარმოების დაცვა გარე ატმოსფერული ზემოქმედებისა და მექანიკური დაზიანებისგან.

5.1.2 ტრანსპორტირებისთვის, საკვლევ ობიექტი შეფუთული უნდა იყოს ქიმიურად ინერტული მასალისგან დამზადებულ რბილ სათავსში, რომელიც უშუალოდ ეხება საკვლევ ობიექტს, შემდეგ კი მყარ გარე სათავსში ჩამაგრებით. დასაშვებია მხოლოდ რბილ კონტეინერებში შეფუთვა, იმ პირობით, რომ ნივთის ტრანსპორტირება ხდება თანმხლებ პირთან ერთად.

5.1.3 ტილოზე შესრულებული ნაწარმოების შეფუთვა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ტრანსპორტირების დროს გამოკვლევის ობიექტების ვერტიკალურ მდგომარეობაში განთავსებას. შეფუთვის თითოეულ ადგილას უნდა აღინიშნოს სპეციალური ეტიკეტები ინფორმაციით, მაგალითად: „სიფრთხილე“ , „მყიფე“, „ზედა“, „ქვედა“, „დაიცავი ტენიანობისგან“ და ა.შ.

5.2 ექსპერტიზის ობიექტების ტრანსპორტირება

5.2.1 ექსპერტიზის ობიექტების ტრანსპორტირება ხდება მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებების შიდა სივრცეში განთავსებით. სამ საათზე მეტხანს საგნების ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ კლიმატის კონტროლის სისტემით აღჭურვილ სატრანსპორტო საშუალებებში, რაც შესაძლებლობას იძლევა დაიცვან

რეკომენდებული ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმი დიაპაზონში: ტემპერატურა (18 ± 2) ° C, ტენიანობა - 50% -65%.

5.3 ექსპერტიზის ობიექტების შენახვა

5.3.1 ექსპერტიზის ობიექტების შენახვა მათი გამოკვლევის პერიოდში უნდა განხორციელდეს სპეციალურად აღჭურვილ სათავსოში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5.3.2 ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა შესანახი საცავი აღჭურვა უნდა მოხდეს კონდიციონერისა და ვენტილაციის სისტემებით, ჰაერის დაბინძურებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად და ტემპერატურისა და ტენიანობის სტაბილური რეჟიმის შესანარჩუნებლად. შენახვის რეკომენდებული ტემპერატურაა (18 ± 2) ° C, რეკომენდებული ტენიანობა 50% -65%.

5.3.3 სათავსო, სადაც ხდება ექსპერტიზის ობიექტის შენახვა ან/და მისი გამოკვლევა უნდა იყოს აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით.

სათავსო უნდა იყოს უზრუნველყოფილი უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სასიგნალო მოწყობილობით. სათავსს უნდა გააჩნდეს სინათლის რეჟიმის მარეგულირებელი, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს სინათლისა და ულტრაიისფერი სხივების შეტანას სათავსში. მკაცრად აკრძალულია გრაფიკული ნამუშევრების განათება 75 ლუქს ზემოთ.

5.4 შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს ამ დებულების 5.3.1, 5.3.2 და 5.3.3 მოთხოვნები იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ექსპერტიზის ობიექტების შეფუთვის, მათ ტრანსპორტირებას ექსპერტიზის ადგილზე და დროებით შენახვას დამკვეთის ხარჯზე.

5.5 მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებით დაადგინონ საკვლევი ობიექტის შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და შენახვის განსხვავებული წესებიც.

6. ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების საექსპერტო კვლევის მეთოდები და წესები

6.1 ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა გამოკვლევის ფუნდამენტური მეთოდია შედარების მეთოდი, რომელიც ემყარება საკვლევი ობიექტის ეტალონთან შედარებას, მათ შორის ერთგვაროვანი მახასიათებლების იდენტიფიკაციის მიზნით. თუ ეტალონთან შედარება შეუძლებელია, მაშინ ეს პროცედურა ანალოგებთან განხორციელდება. ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოკვლევის შედეგების სანდოობა დიდწილად დამოკიდებულია ანალოგების შერჩევის ხარისხზე.

6.2 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ექსპერტიზის ამოცანები

ექსპერტიზის ამოცანებია:

- ნაწარმოების ავტორის დადგენა ან/და რომელიმე სამხატვრო სკოლისადმი ან მიმართულებისადმი ნაწარმოების მიკუთვნებულობის განსაზღვრა;
- ფერწერული / გრაფიკული ნამუშევრის შექმნის დროისა და ადგილის დადგენა;

- ნაწარმოების ნამდვილობის დადგენა;
- ნაწარმოების ორიგინალობის ან მისი მეორადი ხასიათის განსაზღვრა, ამასთან მეორადი ხასიათის ნაწარმოების ტიპის დიფერენცირება.

6.3 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების განმარტება

6.3.1 მხატვრულ ნაწარმოებს განეკუთნება ნამუშევრები, რომლებიც შექმნილია ესთეტიკური მიზნით. ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებებს კი განეკუთვნება ის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც შექმნილია ამა თუ იმ ზედაპირზე გამოსახულების დატანის გზით.

6.3.2 ფერწერა და გრაფიკა განსხვავდება მათი შესრულებისას გამოყენებული მასალების ტიპის მიხედვით.

6.3.3 ფერწერას განეკუთნება მხატვრული ნამუშევრები, რომლებიც შექმნილია ზეთის, ტემპერის, აკრილის საღებავებით ქსოვილზე, ხეზე, ქაღალდზე, ლითონზე ან სხვა საფუძველზე გამოსახულების დატანის გზით.

6.3.4 გრაფიკა იყოფა ორ ტიპად: ორიგინალი და ტირაჟული.

ორიგინალ გრაფიკაში შედის წყალში ხსნადი საღებავებით შესრულებული ნამუშევრები (აკვარელი, მელანი, გუაში, ტემპერა, აკრილი და ა.შ.) ან სხვადასხვა სახის მშრალი მასალებით (ნახშირი, პასტელი, გრაფიტი, სანგინი და ა.შ.) შესრულებული ნამუშევრები ქსოვილის, ხის, ქაღალდის, ლითონის ან რაიმე სხვა საფუძველზე.

ტირაჟულ გრაფიკას განეკუთნება ნამუშევრები, რომლებიც კლიშეების გამოყენებით დატანილია ზედაპირზე.

6.3.5 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები შესაძლებელია შესრულებული იყოს მომიჯნავე ტექნიკის გამოყენებით, რაც იძლევა საფუძველს ასეთი ნაწარმოები მიეკუთვნოს სახვითი ხელოვნების როგორც ერთ, ისე მეორე ტიპს. ამ შემთხვევაში, საკვლევი ობიექტის კლასიფიკაცია განისაზღვრება ინდივიდუალურად, ნაწარმოების ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის საფუძველზე.

საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს მხოლოდ ავტორის ტირაჟული გრაფიკა, რომლის შექმნის პროცესში ავტორი უშუალოდ მონაწილეობდა, კერძოდ ავტორის მიერ შექმნილია საბეჭდი კლიშე (გრაფიურა).

ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები, რომლებიც ტექნოლოგიურად დაკავშირებულია უძრავ ქონებასთან, კლასიფიცირდება როგორც მონუმენტური ფერწერა და გრაფიკა.

6.4 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ყოვლისმომცველი შესწავლა

6.4.1 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ყოვლისმომცველი შესწავლა მოიცავს ტექნიკური და ტექნოლოგიური, ხელოვნების ისტორიის, წყაროს შესწავლას და სხვა სახის კვლევებს, რომელთა არჩევანი დამოკიდებულია გამოკვლევის ობიექტის მახასიათებლებზე.

6.4.2 ნაწარმოების ყოვლისმომცველი შესწავლა შეიძლება ჩატარდეს როგორც ერთი ექსპერტის, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ. გამოკვლევის ბოლოს დასკვნები შეიძლება ჩამოაყალიბოს ექსპერტმა ან ექსპერტთა ჯგუფმა, რომლებიც თანაბრად არიან პასუხისმგებელნი საექსპერტო დასკვნის შინაარსზე.

6.4.3 დასკვნების ფორმულირებისას ექსპერტი უნდა ემყარებოდეს საკუთარი კვლევის შედეგებს. ექსპერტს, რომელიც ატარებს კვლევას და ადგენს დასკვნებს, უფლება აქვს დაუკავშირდეს სპეციალისტებს, რომელთა ცოდნა, უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები აუცილებელია ექსპერტიზის პრობლემების გადასაჭრელად, მაგალითად, კვლევის ჩასატარებლად. ასეთი სპეციალისტები არ მონაწილეობენ დასკვნების ფორმულირებაში და არ აგებენ პასუხს დასკვნის შინაარსზე, მაგრამ მხოლოდ მათი კვლევის სანდოობაზე არიან პასუხისმგებელნი. ასეთი სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები მხედველობაში მიიღება დასკვნების ფორმულირებისას და უნდა აისახოს დასკვნაში.

6.5 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების სახელოვნებო გამოკვლევა

6.5.1 სახელოვნებო კვლევის ამოცანაა საკვლევი ობიექტის სტილისტური მახასიათებლების იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია, სიუჟეტისა და იკონოგრაფიის ანალიზი და მათი კორელაცია ეტალონებთან ან ანალოგებთან.

6.5.2 ზოგადი მოთხოვნები სახელოვნებო კვლევის მეთოდების მიმართ

სახელოვნებო კვლევის მეთოდები მოიცავს:

- სტილისტური ანალიზის მეთოდს;
- იკონოგრაფიული ანალიზის მეთოდს.

6.5.2.1 სტილისტური ანალიზის მეთოდი გულისხმობს ნაწარმოებში (საკვლევი ობიექტში) სტილისტიკური ნიშნების იდენტიფიცირებას და მათ დაფიქსირებას.

სტილისტური ნიშნები შეიძლება შეიცავდეს შემდეგ მახასიათებლებს: საგანთა წყობის მეთოდი, კომპოზიციები, კოლორისტული და შუქრჩდილოვანი გადაწყვეტები, პერსპექტივისა და მოცულობის აგება, გამოსახული ობიექტების დეტალების ხარისხი და სხვა.

ამ მახასიათებლების ანალიზით შესაძლებელია ნაწარმოები (საკვლევი ობიექტი) დაკვალიფიცირდეს როგორც ორიგინალი ან მეორადი, ასევე განისაზღვროს მეორადი ნაწარმოების კონკრეტული ტიპი.

სტილისტური ნიშნები იყოფა ორ სახეობად: ინდივიდუალურ (რომელიც ახასიათებს კონკრეტულ ავტორს) და ზოგად (საერთო) ნიშნებად.

ზოგადი (საერთო ნიშნები) მოიცავს სტილისტურ მახასიათებლებს, რომლებიც გვხვდება კონკრეტული სამხატვრო სკოლის ან მიმდინარეობის წარმომადგენელთა ნამუშევრებში.

შესადარებელი ეტალონი მაქსიმალურად უნდა იქნას შერჩეული ისეთი სტილისტური ნიშნებით, რომლებიც გააჩნია საკვლევი ობიექტს რათა სწორედ სტილისტური ნიშნების მსგავსების ან განსხვავების საფუძველზე გაკეთდეს დასკვნები საკვლევი ობიექტისა და ეტალონის სტილისტიკის დამთხვევაზე ან განსხვავებაზე.

6.5.2.2 იკონოგრაფიული ანალიზის მეთოდი მოიცავს ტიპოლოგიური მახასიათებლებისა და სქემების აღწერასა და სისტემატიზაციას, რომლითაც

ნაწარმოებში გამოისახება პერსონაჟები ან სიუჟეტები. მსგავსი იკონოგრაფიული მასალის შერჩევა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რამდენად ტიპიური ან ატიპიურია პერსონაჟის ან სიუჟეტის მონაკვეთის (ფრაგმენტის) გამოსახულება სავარაუდო ავტორის ან სკოლისათვის.

6.6 ზოგადი მოთხოვნები სახელოვნებო კვლევის მიმართ

6.6.1 სახელოვნებო კვლევის ძირითადი საშუალებაა ვიზუალური შემოწმება, რომლის დროსაც შესაძლებელია ტექნიკური საშუალებების გამოყენებაც. ვიზუალური გამოკვლევის დროს ექსპერტი აფიქსირებს საკვლევი ობიექტის მთავარ სტილისტურ და იკონოგრაფიულ ნიშნებს და ახორციელებს მათ კლასიფიკაციას. ვიზუალური შემოწმება არის კვლევის სავალდებულო ტიპი.

6.7 საექსპერტო კვლევის პროცესისა და შედეგების დაფიქსირება

6.7.1 ექსპერტიზის ობიექტის ექსპერტიზაზე წარდგენისას ხორციელდება მისი სრული ფოტოფიქსაცია.

სავალდებულო ფოტოფიქსაციას ექვემდებარება:

- საკვლევი ობიექტის წინა და უკანა მხარეების ზოგადი ხედი (უკანა მხარე ექვემდებარება ფოტოგრაფიულ ფიქსაციას, თუ უკანა მხარის ტიპი მნიშვნელოვანია დასკვნების ფორმულირებისთვის); - ხელმოწერისა და თარიღის გაფართოებული სურათი - ასეთის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე სხვა წარწერები, შტამპები,
- მარკების ბეჭდები, რომლებიც მნიშვნელოვანია გამოკვლევისა და დასკვნების ფორმულირებისთვის.
- ობიექტის იდენტიფიცირებული მახასიათებლები ან დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მნიშვნელოვანია დასკვნის შესადგენად.

6.8 სახელოვნებო კვლევის მიმდინარეობისა და შედეგების აღწერისას ექსპერტმა უნდა მიუთითოს საკვლევი ობიექტის რომელ ნიშანს გამოყოფს, როგორ ახდენს მათ კლასიფიკაციას და შეადაროს ისინი მის მიერ შერჩეული ეტალონის შესაბამის ნიშნებს.

6.9 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური კვლევა

6.9.1. ტექნიკურ-ტექნოლოგიური კვლევის მიზანია:

- საკვლევ ობიექტში გამოყენებული მასალებისა და შესრულების ტექნიკის განსაზღვრა;
- საკვლევი ობიექტის შექმნის დროის განსაზღვრა;
- საკვლევი ობიექტის მთლიანობისა და ფიზიკური მდგომარეობის დადგენა;
- ექსპერტიზაზე წარდგენილი ობიექტის ეტალონთან ტექნოლოგიური შესაბამისობის დადგენა.

6.9.2 ტექნიკურ-ტექნოლოგიური კვლევის მეთოდების დახასიათება

ტექნიკური და ტექნოლოგიური კვლევის მეთოდებში შედის: ფიზიკურ-ოპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები.

6.9.2.1 ფიზიკური და ოპტიკური მეთოდები მოიცავს შემდეგ კვლევებს:

- ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ზედაპირის გამოკვლევა და ფოტოგრაფირება გამოსხივების დიაპაზონში;
 - ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ზედაპირის კვლევა და ფოტოგრაფირება ინფრაწითელი გამოსხივების დიაპაზონში (IR რეფლექტოგრაფია);
 - ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ზედაპირის კვლევა და ფოტოგრაფირება ულტრაიისფერი გამოსხივების დიაპაზონში (UV რეფლექტოგრაფია);
 - ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების კვლევა რენტგენოგრაფიის მეთოდით, გამოსახულების შემდგომი ფოტოგრაფიული ფიქსაციით.
- გამოსხივების ხილულ დიაპაზონში ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ზედაპირის გამოკვლევა და ფოტოგრაფირება ხორციელდება ვიზუალური შემოწმებით, ან ოპტიკური (კერძოდ პოლარიზებადი), ან ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით ზოგადი, მონოქრომული, გაფანტული ან ირიბი განათების გამოყენებით, რასაც მოსდევს ფოტოგრაფირება.

6.9.2.2 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის მეთოდები მოიცავს შემდეგს:

- ნიმუშების სტრატეგრაფიული ანალიზი;
- პიგმენტების, **შემკვრელისა** და ფუძის ყოვლისმომცველი ანალიზი;
- ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების საფუძვლის თვისობრივი მახასიათებლების შესწავლა (ტილო, ქაღალდი, ხე, ლითონი, ძვალი და ა.შ.).

6.9.2.2.1 საკვლევი ობიექტის სტრატეგრაფიული ანალიზი ობიექტის ზედაპირზე არსებული თითოეული ფენის აღწერისა და შესაბამისი ცხრილის შედგენის მიზნით განეკუთნება დესტრუქციული კვლევის მეთოდებს.

6.9.2.2.2 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ზედაპირზე არსებული პიგმენტების, შემკვრელისა და ნაწარმოების საფუძვლის კომპლექსური გამოკვლევა (ანალიზი) შედგება შემდეგი მეთოდებისაგან:

- მიკროქიმიური ანალიზი (ითვალისწინებს მასალების აღებას და განეკუთნება დესტრუქციულ მეთოდებს);
- სპექტრული ანალიზი;

შენიშვნა - სპექტრული ანალიზის მეთოდს ირჩევს ექსპერტი და ის დამოკიდებულია გამოკვლევის ობიექტის მახასიათებლებზე: ზოგიერთ შემთხვევაში, სპექტრული ანალიზი მოიცავს ნიმუშის აღებას და პოტენციურად კლასიფიცირდება როგორც დესტრუქციული კვლევის მეთოდი.

- ქრომატოგრაფიის მეთოდი (ითვალისწინებს ნიმუშის აღებას და განეკუთნება დესტრუქციული კვლევის მეთოდებს);
- ანალიზის სხვა თანამედროვე მეთოდები.

ზემოხსენებული კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდიკა ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ზედაპირზე არსებული საღებავის ფენების -

პიგმენტების, შემკვრელების, ლაქის, ადჰეზივების და ა.შ. - შემადგენელი ნივთიერებების დადგენის საშუალებას იძლევა.

ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების საფუძვლის ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევის მეთოდი ხშირად საჭიროებს ნიმუშის აღებას და მას პოტენციურად უწოდებენ დესტრუქციული კვლევის მეთოდს.

6.9.3 ტექნიკურ-ტექნოლოგიური კვლევის პროცედურა

6.9.3.1 ტექნიკურ-ტექნოლოგიური კვლევის მეთოდები გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია და საკმარისია ექსპერტიზის პრობლემების გადასაჭრელად. ტექნიკური და ტექნოლოგიური კვლევის ერთი ან რამდენიმე მეთოდის არჩევას ახორციელებს ექსპერტი, ექსპერტიზის ობიექტის მახასიათებლების გათვალისწინებით.

ტექნიკურ და ტექნოლოგიურ შესწავლაში გამოყენებული ხელსაწყოები და მოწყობილობები უნდა იყოს დაკალიბრებული, გადამოწმებული და მათი ექსპლუატაცია უნდა ხორციელდებოდეს ამ ხელსაწყოებისა და მოწყობილობების ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტი ტექნიკურ-ტექნოლოგიური კვლევის მეთოდებს იყენებს დამოუკიდებლად ან იწვევს შესაბამის სპეციალისტებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ექსპერტი ადგენს ამოცანას სპეციალისტისათვის ზეპირი ან წერილობითი ფორმით და გადასცემს მას ექსპერტიზის ობიექტს. ექსპერტის მითითებით კვლევის ჩატარების შემდეგ სპეციალისტი გადასცემს ექსპერტს ყველა მიღებულ შედეგს და უბრუნებს საკვლევ ობიექტს. საკვლევ ობიექტის მიღება და გადაცემა ხორციელდება იმ ორგანიზაციების შინაგანაწესის შესაბამისად, რომლებთანაც სპეციალისტები არიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში. კვლევის შედეგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი ფორმით: ტექსტი, ფოტოსურათი და ვიდეო, რენტგენოგრაფია, გრაფიკული გამოსახულება; ასევე ცხრილის, დიაგრამისა და სხვა გრაფიკული გამოსახულების ფორმით, მოცემული დავალების, გამოყენებული მეთოდისა და საკვლევ ობიექტის მახასიათებლების მიხედვით.

ყველა ტიპის კვლევისთვის აუცილებელია მიღებული შედეგების ეტალონთან შედარება, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში - შედარება ანალოგებთან უნდა განხორციელდეს.

6.10 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების წყარო

6.10.1. ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების წყაროთა კვლევა ითვალისწინებს მათი წარმოშობის, ისტორიისა და ავტორის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას.

6.10.2 ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა წყაროს კვლევის მეთოდები (წყაროს კვლევა) მოიცავს ნაშრომის ავტორის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ ნებისმიერი საცნობარო მასალის მოძიებას, ნაწარმოების შექმნის ისტორიის, ექსპოზიციისა და კოლექციური ისტორიის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის შეგროვებას. ამ კვლევის პროცესში გამოყენებული მონაცემების ძირითადი კრიტერიუმია მათი ფაქტობრივი სანდოობა (ფაქტებით დადასტურება). ამ მიზნით

შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სახის პუბლიკაცია, საარქივო დოკუმენტები, ფოტო და ვიდეო მასალები და ა.შ.

6.10.3 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების წყაროს კვლევითი პროცესისა და შედეგების ფიქსირება

-თუ აღმოჩენილია დოკუმენტები ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების წარმოშობის (მაგალითად, ავტორის ან მისი ნათესავების სერთიფიკატები ან დამადასტურებელი ქვითრები) ან ნაწარმოების ისტორიის შესახებ (სერთიფიკატები ან დამადასტურებელი ქვითრები გარკვეულ კოლექციებში ნაწარმოების აღმოჩენის შესახებ, ფინანსური ან სააღრიცხვო დოკუმენტები, რომლებიც ეხება ობიექტს), ეს დოკუმენტები ასლების სახით უნდა დაერთოს სხვა საკვლევ მასალებს.

- თუ ნაწარმოები მოხსენიებულია ბეჭდურ გამოცემებში, ექსპერტი ვალდებულია დასკვნაში უზრუნველყოს ამ ბეჭდური გამოცემების ბიბლიოგრაფიული აღწერა.

- ყველა გამოვლენილ ფაქტსა და მტკიცებულებას თან უნდა ახლდეს მათი წარმოშობის წყაროზე მითითება. დაუშვებელია წყაროებზე მითითება სანამ ექსპერტის მიერ არ განხორციელდება წყაროს გადამოწმება.

7. საექსპერტო დასკვნა

7.1. საექსპერტო დასკვნა, რომელიც ეფუძნება ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების გამოკვლევის შედეგებს, უნდა შეიცავდეს ყველა ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია ექსპერტიზის შედეგების თვალსაზრისით.

დასკვნის შინაარსი არ უნდა იყოს ორაზროვანი და არ უნდა იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას.

7.2 საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დასკვნის რეკვიზიტები;
- გამოკვლევის ობიექტის აღწერა ექსპერტიზის დაწყების მომენტში;
- კვლევის შინაარსი;
- ექსპერტიზის დასკვნები და გამოკვლევის ობიექტის აღწერა კვლევის შედეგების საფუძველზე.

7.3 საექსპერტო დასკვნის რეკვიზიტები მოიცავს:

- მონაცემებს ექსპერტთა შესახებ, რომლებმაც ჩაატარეს ექსპერტიზა და მონაწილეობდნენ დასკვნების შემუშავებაში

(გვარი, სახელი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სხვა საკონტაქტო ინფორმაცია - საჭიროების შემთხვევაში, სპეციალობა, თანამდებობა და აკადემიური წოდება - ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- საექსპერტო ორგანიზაციის სრულ დასახელებას, მისამართს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართსა და სხვა საკონტაქტო ინფორმაციას;

- საექსპერტო დასკვნის ნომერს და მისი გაცემის (დასრულების) თარიღს;

- ექსპერტის ან ექსპერტების ხელმოწერებს;

- „ფონდის“ ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას.

7.4. ექსპერტიზის დაწყების დროისათვის საკვლევი ობიექტის თაობაზე ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დადების დროს შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში ასახულ მონაცემებს და მითითებული უნდა იყოს:

- ნაწარმოების სათაური და ავტორის სახელი, რომელიც დამკვეთისათვის ცნობილია ხელშეკრულების დადების დროს ან მითითებას, რომ ავტორის სახელი და ნაწარმოების სათაური უცნობია;
- ნამუშევარზე არსებული ხელმოწერა და თარიღი ან მათი არარსებობის თაობაზე მითითება;
- ნამუშევრის ზომა, რომელიც განისაზღვრება შეკვეთის შესაბამისად (დანართი A);
- ინფორმაციას ნაწარმოების შექმნის ტექნიკისა და გამოყენებული მასალების შესახებ რაც ხელშეკრულების დადების დროს ცნობილია დამკვეთისათვის ;
- ნამუშევრის ზოგადი ხედის ფოტომასალა.

7.5. გამოკვლევის შინაარსი უნდა შეიცავდეს:

- ყველა ჩატარებულ კვლევასა და მათ შედეგებს, გამოყენებულ მეთოდებს, (ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის მითითებით);
 - შესადარებლად გამოყენებულ ეტალონებსა და ანალოგებს მათი წარმოშობის წყაროების ჩათვლით;
 - გამოვლენილი ნაწარმოების ფორმალურ მახასიათებლებს, ხელმოწერებისა და წარწერების ჩათვლით;
 - საკვლევი ობიექტის სხვა გამოვლენილ თავისებურებებსა და მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვანია დასკვნის ფორმულირებისთვის;
 - გამოყენებულ ლიტერატურას;
- აღწერილობას შეიძლება დაერთოს ფოტოსურათები, ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები და სხვა გრაფიკული ინფორმაცია, რაც მოპოვებულია ტექნიკური და ტექნოლოგიური კვლევების შედეგად.

7.6 ექსპერტის დასკვნები

გამოკვლევის შედეგად ექსპერტს შეუძლია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- ნაწარმოების შექმნის მახასიათებლების შესახებ (ორიგინალური ან მეორადი ნამუშევრის მითითებით, მეორადი ნამუშევრის ტიპის მითითებით);
- ნაწარმოების ავტორის სახელის შესახებ (გვარი, სახელი, **საცხოვრებელი ადგილი**, ცხოვრების წლები), ნაწარმოების შექმნის დრო (წელი ან პერიოდი) და ადგილი;
- ნაწარმოების კონკრეტული სამხატვრო სკოლის ან მიმართულებისადმი მიკუთვნებულობის შესახებ;
- ნაწარმოების ავტორის სახელის დადგენის შეუძლებლობის შესახებ, ნაწარმოების შექმნის დროისა და ადგილის, ხელოვნების გარკვეულ სკოლისადმი ან მიმართულებისადმი (ერთი, რამდენიმე ან ყველა პარამეტრი) მიკუთვნების შეუძლებლობის შესახებ;
- გამოკვლევის შედეგად ნაწარმოების ავტორის, ამ ნამუშევრის დათარიღების ან მისი შექმნის ადგილის, - (ერთი, რამდენიმე ან ყველა პარამეტრის) - სარწმუნოდ დადასტურების ან უარყოფის შეუძლებლობის შესახებ;

შენიშვნა - ამ შემთხვევაში, ავტორის ვინაობის, ნაწარმოების დათარიღებისა თუ მისი შექმნის ადგილთან დაკავშირებულ მონაცემთა შემდეგ, ფრჩხილებში იწერება კითხვის ნიშანი.

ნებისმიერ დასკვნას უნდა ასახულებდეს და ამყარებდეს კვლევის შედეგები.

7.7 ექსპერტიზის ობიექტის შესახებ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- ავტორის სახელს, ნაწარმოების დასახელებას, მისი შექმნის თარიღს (პერიოდი); ან ავტორის სახელს, ნაწარმოების დასახელებას, მისი შექმნის თარიღს კითხვის ნიშნით; ან ავტორის სახელის, ნაწარმოების სათაურის, მისი შექმნის თარიღის დადგენის შეუძლებლობაზე მითითებას;
- საკვლევი ობიექტის (ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების) ზომას, რომელიც განისაზღვრება შეკვეთის შესაბამისად (დანართი A);
- ნაწარმოების შექმნის ტექნიკისა და გამოყენებული მასალების აღწერას;
- მეორადი ნაწარმოებისათვის - მეორადი ნამუშევრის ტიპის განსაზღვრას.

დანართი A (სავალდებულო)

ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ზომის განსაზღვრის პროცედურა საკვლევი ობიექტის ზომები განისაზღვრება ნაწარმოების გაზომვის საფუძველზე. ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების გაზომვა ხორციელდება ჯერ მისი საფუძვლის მარცხენა ვერტიკალური მხარის გასწვრივ, შემდეგ კი ზედა ჰორიზონტალური მხარის გასწვრივ. თუ ნამუშევარს აქვს გამოხატული ასიმეტრიული ფორმა, მაშინ ზომები მითითებულია მაქსიმალური ზომით, ხოლო ფრჩხილებში მოცემულია მინიმალური მაჩვენებლები. თუ ნამუშევარს აქვს მომრგვალო ან ოვალური ფორმა, გაზომვები ხდება ცენტრალური ღერძების გასწვრივ.

თუ საკვლევი ობიექტი დამონტაჟებულია ისე, რომ დემონტაჟი ქმნის მექანიკური დაზიანების რისკს, აღწერილობაში მოცემულია ორი განზომილება: სურათის ზომა "შუქზე" და განზომილების ზომა დამაგრებით.

საწარმოო გრაფიკის ნამუშევრებისთვის საჭიროა საფუძვლის ზომების გარდა, მიეთითოს ბეჭდვის ზომები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გამოსახულების ზომები.

